ეროვნული ბიბლიოთეკა

# კავკასიონი

© ყოველდღიური გაზეთი №20 (89) ოთხშაბათი, 1 თებერვალი, 1995 ფასი 150 000 კუპონი ან 500 რუბლი

## საქართველო

### სახელმწიფოს მეთაურმა მიიღო ამერიკის ელჩი

31 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავმჯდომარემ, სახელმწიფოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო აშშ-ს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოს რესპუბლიკაში კენტ ბრაუნი.

ელჩის თქმით, ამჟამად აშშ-ში მუშავდება რამდენიმე პროექტი, რომელიც შუა აზიიდან ევროპაში ნავთობის ტრანსპორტირებას შეეხება, რის გამოც დღის წესრიგში დგას ახალი ნავთობსადენების მშენებლობის საკითხი. აშშ-ში განიხილავენ აღნიშნულ პროექტებში საქართველოს რესპუბლიკის მონაწილეობის შესაძლებლობას. ა.წ. 10 თებერვალს საქართველოს აშშ-დან ეწვევა ფაქტების დამდგენი მისია, რომელიც შეისწავლის, თუ რამდენად ხორციელდება საქართველოში საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეკომენდაციები.

კენტ ბრაუნმა ედუარდ შევარდნაძეს გადასცა აშშ-ს ადმინისტრაციის თხოვნა, რომ იგი ოფიციალური ვიზიტით ეწვიოს აშშ-ს.

შეხვედრაზე განიხილეს ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მიმდინარე კონფლიქტსა და აფხაზეთის რეგიონში სამშვიდობო ჯარების მოქმედების საკითხები.

### აფხაზეთის სახელმწიფო სიმბოლიკა

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებით, შეიქმნა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსისა და სახელმწიფო სიმბოლიკის ატრიბუტიკის პროექტების შემმუშავებელი სადეპუტატო კომისია, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის მინისტრის ოთარ ბუმიძის ხელმძღვანელობით. კომისიას დაევალა 1995 წლის თებერვლის ბოლომდე დაასრულოს აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადება და განსახილველად წარუდგინოს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტს.

### გაეროს მისიის ჯგუფი თბილისში

31 იანვარს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის ვიცეპრემიერი ბაკურ გულუა შეხვდა გაეროს მისიის ჯგუფს.

მისიის წევრები დაინტერესდნენ სოფლის მეურნეობაში, პურპროდუქტების სფეროსა და აგროკომპლექსში შექმნილი მდგომარეობით, გამოთქვეს სურვილი, შეისწავლონ ჰუმანიტარული დახმარების ინფრასტრუქტურის, ბუნების დაცვის, ხე-ტყის წარმოებისა და ამ დარგებში დასაქმებასთან დაკავშირებული პრობლემები.

ბ.გულუამ სტუმრებს გააცნო ხორბლითა და პურით უზრუნველყოფის ათწლიანი სამთავრობო პროგრამა სახელწოდებით „მარცვალი", ასევე ხორბლის დამზადების ბალანსის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 50 000 ტონა ხორბლის დამზადებას. ბ.გულუამ მისიის წევრებს წარუდგინა წინადადება სამთვიანი რეზერვების შექმნის შესახებ, რათა წარმოებაში ადგილი არ ჰქონდეს წყვეტილობას.

### პური ჩვენი არსობისა

საქართველოს რესპუბლიკას ევროგაერთიანებიდან ჰუმანიტარული დახმარების სახით მისაღები აქვს 125 000 ტონა ხორბალი და 5000 ტონა პურის ფქვილი, ამავე ხაზით — აშშ-დან 135 000 ტონა პურის ფქვილი. რესპუბლიკაში ხორბლის რეალური რესურსი შეადგენს 266 000 ტონას, დეფიციტი კი — 614 000 ტონას.

### „დამარცხებული ღატაკები"

1995 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს რესპუბლიკაში სიღატაკის ზღვარმა ერთ სულზე შეადგინა 85 მილიონი კუპონი. მინიმალური ხელფასით აღნიშნული თანხის მხოლოდ სამი პროცენტი იფარება. ეს იმას ნიშნავს, რომ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა (70 პროცენტზე მეტი) სიღატაკის ზღვარს მიღმა რჩება.

### აფხაზები არბევენ ქართულ მოსახლეობას

აფხაზმა სეპარატისტებმა კვლავ ჩაატარეს დამსჯელი ოპერაციები გალის რაიონის რამდენიმე სოფელში. სოფელ პირველი ოტობაიადან დევნილ ქართველთა ინფორმაციით, მას შემდეგ, რაც დაიწყო კონფლიქტი ჩეჩნეთის რესპუბლიკაში, აფხაზთა მხარემ მეტი ინტენსივობით განახორციელა დამსჯელი ოპერაციები აფხაზეთის რეგიონის ქართულ სოფლებში.

როგორც ზოგიერთმა ქართველმა დევნილმა განუცხადა „იბერიას" კორესპონდენტს, აფხაზთა მხარის გააქტიურების მიზეზი ისიც არის, რომ ჩეჩნეთის რესპუბლიკაში მიმდინარე კონფლიქტთან დაკავშირებით, რუსეთმა ჩაკეტა საზღვარი მდინარე ფსოუზე (საქართველოს რესპუბლიკასა და რუსეთის ფედერაციას შორის არსებული საზღვრის მონაკვეთი), რამაც მკვეთრად დასცა ცხოვრების დონე იმ ტერიტორიაზე, რომელსაც აფხაზური მხარე აკონტროლებს; აქ 3-4-ჯერ გაძვირდა კვების პროდუქტები და ფართო მოხმარების საგნები.

დამსჯელი ოპერაციების ჩატარების ერთ-ერთი მიზანი ისიცაა, რომ ოპერაციების განხორციელების შემდეგ, აფხაზი ბოევიკები ნადავლით დატვირთულნი უბრუნდებიან თავიანთი დისლოკაციის ადგილებს.

## კონფლიქტი

### ხიდაშელს — ჭავჭავაძის ჩოხა?

#### წინანდლის ღვინის ქარხნის გახმაურებული საქმის გამო



საქართველოში პრივატიზაცია რომ უცხო ხილია, ამ პროცესის გარშემო გამართული ათასი დავა და პროკურატურაში აღძრული საჩივრებიც მოწმობს. ამჯერად საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა წინანდლის ღვინის ქარხნის პრივატიზაციასთან დაკავშირებული საქმე, რომელიც სამი წლის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება.

ამასთან დაკავშირებით, 31 იანვარს თბილისის საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცენტრში „ფაბლიკ რელეიშენ"-ში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელზეც ჟურნალისტებს „უმასპინძლეს" ფირმა „წინანდლის" გენერალურმა დირექტორმა თამაზ ხიდაშელმა, საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს პრივატიზაციის განყოფილების უფროსმა მიხეილ კუპრეიშვილმა, თელავის გამგებლის მოადგილემ გოდერძი მამუკელაშვილმა და სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსის მოადგილემ ზურაბ ნონიაშვილმა.

პრესკონფერენცია მიჰყავდა მსოფლიო ლაბორატორიის საქართველოს განყოფილების დირექტორს ბატონ სოსო ცისკარიშვილს.

შეხვედრაზე, რომელიც სამ საათზე მეტ ხანს გაგრძელდა, აშკარად გამოიკვეთა, რომ ჟურნალისტების წინაშე „მართალი კაცის" იმიჯის შექმნა უფრო მთავარი იყო, ვიდრე ის, თუ რა შეკითხვებს დაუსვამდნენ საქმეში ჩართულ პირებს პრესის წარმომადგენლები. პრესკონფერენციის ძირითადი დრო მოწინააღმდეგე მხარეთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლას დაეთმო. ბევრს ეცადა ბატონი სოსო ცისკარიშვილი, რომ კამათს მწვავე ხასიათი არ მიეღო, მაგრამ დაძაბულობა (და არც თუ მცირე) მაინც იგრძნობოდა.

თავდაპირველად ბატონი ზურაბ ნონიაშვილი შეეცადა პრობლემის არსში გაერკვია ჟურნალისტები. აქვე ითქვა ისიც, რომ პრესკონფერენციის მოწყობის ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია გააბათილონ თელავის გამგეობის მცდელობა — რესპუბლიკის პრესისა და ტელევიზიის საშუალებით უარყოფითი აზრი შეუქმნან მოსახლეობას წინანდლის ღვინის ქარხნის პრივატიზაციის მართებულობის თაობაზე.

როგორც აღმოჩნდა, ამ საკითხზე თავის დროზე ინფორმაცია გამოუქვეყნებია გაზეთ „რეზონანსს" და განუცხადებიათ „ქვიშის საათისა" და მე-2 არხის საინფორმაციო გამოშვებებს. თუმცა ბატონმა სოსო ცისკარიშვილმა ეს „მსუბუქი" საყვედური არ მიიღო, რადგან „რეზონანსი" ამ შემთხვევაში სარგებლობდა საქართველოს რესპუბლიკის პროკურატურის პრესცენტრიდან მოწოდებული ინფორმაციით.

ზურაბ ნონიაშვილის განცხადებით, 1990 წლის 1 იანვრიდან იჯარით, გამოსყიდვის უფლებით გაიცა წინანდლის ღვინის ქარხანა. დღეისთვის ქარხნის პრივატიზებას აპირებს მისი დირექტორი თამაზ ხიდაშელი და კოლექტივის 238 წევრი. 1993 წლის 1 სექტემბრისთვის ქარხნის პრივატიზებისთვის გადახდილია 10 მილიონ 900 ათასი კუპონი, რომლის შემდეგაც მათ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ მიეცათ საკუთრების დროებითი მოწმობა. გავიდა ერთი წელი და 110 მილიარდი კუპონი გახდა საჭირო, რომ მათ კანონთან „ანგარიში გაესწორებინათ". ამის შემდეგ დღეს წესრიგში დადგა საკუთრების მუდმივი მოწმობის გაცემა, რაც ზ.ნონიაშვილის აზრით, ხელს არ აძლევს მოდავე მხარეს — თელავის გამგეობას, რომელიც მხოლოდ ახლა დაინტერესდა ამ საკითხით და თურმე „პრივატიზაციას კი უჭერს მხარს, მაგრამ არა ამ ფორმით, რა ფორმითაც ახლა ხდება". იგივე ზ.ნონიაშვილის მტკიცებით, პრივატიზაციისთვის საჭირო ყველა საბუთი წესრიგშია და მოდავე მხარეს გარკვეული ინტერესები ამოძრავებს, რომ თამაზ ხიდაშელმა და იმ 238-მა თანამშრომელმა არ ისარგებლოს ამ პროცესით.

და მაინც, ექვემდებარება თუ არა წინანდლის ღვინის ქარხანა ღვინის საცავის გარეშე პრივატიზაციას?

მაინც რას ედავება თელავის გამგეობა თამაზ ხიდაშელს?

იხილეთ მე-2 გვ.

ნაზარბაევი ჩეჩნეთზე, რუსეთზე და დსთ-ზე 2

დოკვაძე, დომუხოვსკი, გელბახიანი — პროკურორმა წაიკითხა საბრალდებო დასკვნა 2

## კონტაქტები

### ევროკავშირი ითანამშრომლებს საქართველოსთან

ევროკავშირსა და ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა ზურაბ აბაშიძემ საქინფორმს აცნობა, რომ ბრიუსელში გაიმართა ევროპარლამენტში არსებული ამიერკავკასიის კომისიის სხდომა. განიხილეს საქართველოში შექმნილი ვითარება, ასევე ის მუშაობა, რომელსაც ახორციელებს ევროკომისია ჩვენს ქვეყანასთან თანამშრომლობისა და პრაქტიკული დახმარების თვალსაზრისით.

აღნიშნული კომისია შეიქმნა მას შემდეგ, რაც გასული წლის ზაფხულში ევროპარლამენტის ახალი შემადგენლობა აირჩიეს.

კომისიის წევრებმა — ევროპარლამენტის დეპუტატებმა ისაუბრეს საქართველოსთან ურთიერთობის გაფართოების აუცილებლობაზე. აღინიშნა, რომ ახლო მომავალში მოსალოდნელია მოლაპარაკების დაწყება ევროკავშირსა და საქართველოს შორის ფართომასშტაბიანი თანამშრომლობის ხელშეკრულების მოსამზადებლად.

ევროკავშირთან და ბენილუქსის ქვეყნებში საქართველოს რესპუბლიკის ელჩმა ზ.აბაშიძემ გააკეთა ინფორმაცია საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური პროცესების შესახებ, მათ შორის, აფხაზეთის პრობლემის თაობაზე.

ხაზი გაესვა ჩვენს დაინტერესებას ევროკავშირთან პოლიტიკური და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარებაში. მან ისაუბრა საკვები პროდუქტებითა და სხვა აუცილებელი პროდუქციით დახმარების პრობლემებზეც, ასევე „ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის" პროექტზე.

ახლო მომავალში ევროპარლამენტი კვლავ იმსჯელებს საქართველოსთან ურთიერთობის საკითხებზე და დასახავს კონკრეტულ ღონისძიებებს.

## მხოლოდ ციტატები

**სერგეი კოვალიოვი**, რფ პრეზიდენტის რწმუნებული ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებში:

„ჩემი აზრით, ბორის ელცინს საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების არავითარი შანსი აღარა აქვს და მინდა, იმედი ვიქონიო, რომ იგი სხვა ხერხებით არ ეცდება ხელისუფლების შენარჩუნებას".

„ელცინისთვის ჩეჩნეთის კრიზისი პირადი ტრაგედიაა. ეს არის ტრაგედია იმ ადამიანისა, რომელმაც ბევრი გააკეთა ქვეყნისთვის".

„ელცინმა შეისისხლხორცა რისკიანი სუპერმენის როლი, რომელიც კრიტიკულ სიტუაციებში ძალას იყენებს და წყვეტს პრობლემებს".

* * *

**აბდელ კადერი**, იორდანიის პარლამენტის წევრი:

„შამილმა გაანადგურა ჩეჩენი ერის ნახევარი, დუდაევი კი ანადგურებს დარჩენილ ნახევარს".

* * *

**ლეონიდ სმირნიაგინი**, რუსეთის პრეზიდენტის აპარატის ანალიტიკური ცენტრის ხელმძღვანელი:

„სანამ რუსეთის არმია ჩეჩნეთში ფედერაციის მთლიანობას იცავს, ყოველგვარი დუდაევებისა და ბანდფორმირებების დახმარების გარეშე, ქაოსისკენ მიექანება ცენტრისა და ფედერაციის სუბიექტებს შორის ურთიერთობები".

## რუსეთი

### კაზაკები დუდაევის წინააღმდეგ

კაზაკთა კავშირის გამგეობამ გააკეთა განცხადება, რომელშიც გმობს დუდაევის მუქარას რუსეთის სხვა რეგიონებში ომის გადატანის თაობაზე და, როგორც რუსეთის ფედერაციის მთლიანობის დაცვის გარანტს, მიმართავს ელცინს „მკაცრად და სამაგალითოდ" დასაჯოს ყველა, ვინც საფრთხეს შეუქმნის ქვეყანას.

### იავლინსკი ბრძოლას უცხადებს ელცინს

გრიგორი იავლინსკის აზრით, დემოკრატიულ ოპოზიციას რუსეთში დღეს რეალური შანსები აქვს, დაამარცხოს „ელცინის რეჟიმი". მისი თქმით, ჩეჩნეთის ოპერაცია მხოლოდ იმისთვის ჩატარდა, რათა დაემტკიცებინათ, რომ რუსეთს ჰყავს ძლიერი ლიდერი, რომელსაც შესწევს ძალა, ხელში ეჭიროს ქვეყანა. გ.იავლინსკი არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ პრეზიდენტი რაიმე საბაბით დაშლის სახელმწიფო სათათბიროს. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით, რომელმაც აჩვენა, რომ 70 არ ენდობა ხელისუფლებას, იავლინსკიმ განაცხადა: ელცინმა ამოწურა თავისი შესაძლებლობები და იგი უნდა გადადგეს, შემდეგ კი დასძინა: „დიახ, მე ვაპირებ 1995 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას, რა თქმა უნდა, თუ ამ არჩევნებს დემოკრატიული ხასიათი ექნება".

### ჩეჩენთა დიასპორებში უთანხმოებაა

გაზეთი „პოსტ ფაქტუმი" კომენტარს უკეთებს ჩეჩნეთის მოვლენების საერთაშორისო რეზონანსს და იუწყება, რომ ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების გამო განხეთქილება მოხდა უცხოეთის ჩეჩნურ სათვისტომოებში. ერთნი მხარს უჭერენ დუდაევს, მეორენი კი ადანაშაულებენ მას მშვიდობიანი მოსახლეობის გაწირვასა და მუსულმანთა და ქრისტიანთა შორის ომის გაჩაღებაში.

### „არმიის შეურაცხყოფა ერის შეურაცხყოფაა"

ამ სათაურით გუშინ „როსიისკაია გაზეტამ" გამოაქვეყნა ჩეჩნეთის რესპუბლიკაში ჯარების გაერთიანებულ დაჯგუფებათა მეომრების მიმართვა პრეზიდენტის, პრემიერმინისტრის, ფედერაციის საბჭოს და სახელმწიფო სათათბიროს სპიკერების, თავდაცვის მინისტრისა და გენშტაბის უფროსისადმი.

მეომრები მოითხოვენ, „შეწყდეს რუსეთის ფედერაციის შეიარაღებულ ძალთა ხელმძღვანელობის, მხედრული ვალის აღმასრულებელი მეთაურების და უფროსების დისკრედიტაცია".

სამხედრო მოსამსახურეები მიიჩნევენ, რომ „დადგა სახელმწიფო დონეზე, ფედერალური კრების სხდომებსა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მეომართა მხარდაჭერის დრო". მიმართვაში აღნიშნულია, რომ „სამხედრო მოსამსახურეებს არ აქვებთ რუსეთის ტერიტორიული მთლიანობისთვის, ყოველი მოქალაქის უფლებების დაცვისთვის ბრძოლის სამართლიანობა".



ეროვნული ბიბლიოთეკა

# »ჩეჩნეთის კრიზისი — მძიმე თემაა»

**ნურსულთან ნაზარბაევი — ყაზახეთის პრეზიდენტი — დსთ-ს ლიდერთა შორის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურაა. თავის დროზე, როცა სსრკ დაიშალა, მან ბევრი იღვაწა დსთ-ს შესაქმნელად. ამჟამად კი იბრძვის ევრაზიული კავშირის დაარსებისთვის, რომელშიც ნავარაუდებია ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების გაერთიანება. მიმდინარე წლის 10 თებერვალს, ალმა-ათაში, დსთ-ს ლიდერთა შეხვედრაზე დღის წესრიგში განსახილველ საკითხთა შორის არის ევრაზიული კავშირის შექმნის საკითხიც. გთავაზობთ ინტერვიუს ნურსულთან ნაზარბაევთან.**

**— სამი წლის წინ თქვენ გახდით ყაზახეთის პირველი სახალხოდ არჩეული პრეზიდენტი და თითქმის იმავდროულად მოხდა ბელოვეჟის ტევრის შეთანხმებათა ხელმოწერა, საბჭოთა კავშირის დაშლა. როგორ აღიქვით ეს ფაქტი მაშინ და როგორ აფასებთ დღეს მას?**

— ჩემი მრავალი კოლეგისაგან განსხვავებით, ინტეგრაციის თანმიმდევრული მომხრე ვარ. ჩემი პოზიცია ყოველთვის მკაფიო იყო — რომ ევრაზიულ სივრცეზე მარტო ეკონომიკური, კულტურული და ადამიანური კავშირების უზარმაზარი პოტენციალის დეკლარირება კი არ კმარა, არამედ საჭიროა მისი ამოქმედება. მაგრამ ისტორიამ არ იცის კავშირებითი კილო. მხოლოდ ანალიტიკურ სცენარებში შეიძლება მსჯელობა, რომ, მაგალითად, „რა მოხდებოდა, საბჭოთა კავშირი რომ არ დაშლილიყო“. პრაქტიკულ პოლიტიკაში ძირითადად ოპერირებენ რეალური, და არაპირობითი დროის კატეგორიებით. სსრკ-ს დაშლა — ესაა ობიექტური ისტორიული და პიროვნული მიზეზების რთული კომპლექსი. ოდესღაც დიდმა გერმანელმა სოციოლოგმა მაქს ვებერმა სრული სერიოზულობით დასვა კითხვა, მოხდებოდა თუ არა მსოფლიო ომი, ერცჰერცოგი ფერდინანდი რომ არ მოეკლათ სარაევოში. სსრკ დაშლას, რა თქმა უნდა, თავისი შინაგანი ლოგიკა გააჩნია. მაგრამ ახლა პრობლემა სხვაგვარად დგას. ჯერ ერთი, ყველას შეგნებული აქვს კრიზისის ავტონომიურად გადალახვის სირთულეები და სიძნელეები. მეორეც, აქ უკვე ლაპარაკია პოლიტიკურად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ურთიერთობაზე.

**— მაშინ, სწორედ ალმა-ათაში, თქვენი აქტიური მონაწილეობით შეიქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. თქვენ იგი დაახასიათეთ, როგორც გაყრის „ცივილიზებული ფორმა“. ხომ არ გაგიტყდათ გული, რომ „მთამ წრუწუნა დაბადა?“**

— დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა მაინც ბელოვეჟის ტევრში შეიქმნა. რაც შეეხება ბელოვეჟის შეთანხმებების შემდეგ შექმნილ სიტუაციას,ის რთული იყო. 1991 წ. დეკემბერში ჩვენ აღმოვჩნდით მთელი პოსტსაბჭოური სივრცის მსხვრევის პოტენციური საშიშროების წინაშე სლავური და თურქული რესპუბლიკების ხაზით, ქრისტიანებად და მუსლიმანებად. აქედან გამომდინარე ჩატარებული იქნა ღონისძიებანი ამ უზარმაზარ სივრცეზე პროცესების მართვის შესანარჩუნებლად. აქვე დავძენ, რომ ამ გადაწყვეტილებების გლობალურ ასპექტებსაც ვითვალისწინებდით. არასტაბილურობის კოლოსალურ რკალს, შეიძლება, კრიტიკული შედეგები მოეტანა აზიისა და ევროპისთვის.

**— და მაინც, მთელი ამ ხნის განმავლობაში თქვენ უკმაყოფილებას გამოთქვამდით დსთ-ს ამორფულობის გამო. აი, დეკემბერში დაგეგმილი შეხვედრაც გადაიდო. რითაა ეს გამოწვეული?**

— თუ გადატანა საპატიო მიზეზითაა გამოწვეული, რატომ არ უნდა შევხვდე მას გაგებით? ამჯერადაც საპატიო მიზეზები არსებობს: არაა მზად დოკუმენტები, გარდა ამისა, ეს დაკავშირებულია ჩეჩნეთის ტრაგიკულ მოვლენებთან. გულახდილად ვიტყვი, რომ ყაზახეთის მცხოვრებთ არ შეიძლება, არ აღელვებდეთ, რომ მეგობარი ქვეყნის მიწაზე სისხლი იღვრება. ახლაც, როგორც ადრე, რუსეთის მოვლენების ზეგავლენა მეზობლებზე დიდია. გაითვალისწინეთ ისიც, რომ ჩვენს შორის მრავალი ჩეჩენი ცხოვრობს, ყოველ მათგანს აწუხებს ნათესავებისა და ახლობლების ბედი. ადამიანებს სურთ სისხლისღვრის მალე დამთავრება. ჩეჩნეთის პრობლემას რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის კონტექსტში რომ განვიხილავთ, მე მაინც მიმაჩნია, რომ აუცილებელია დარეგულირების მშვიდობიანი გზების გამოძებნა. ამის თაობაზე ჩვენ ვესაუბრეთ ბორის ნიკოლოზის ძე ელცინს ახალი წლის წინ. თავს ნება მივეცი, გამომეთქვა შეშფოთება კონფლიქტის გაჭიანურების გამო რუსეთის მიწაზე. ამასთან მე ვეყრდნობოდი ყაზახეთში მცხოვრები ათასობით ჩეჩენის საზოგადოებრივ აზრს. ამ დღეებში კი ხანგრძლივი სატელეფონო საუბარი მქონდა ვიქტორ ჩერნომირდინთან. შევთავაზე ჩეჩენი მოსახლეობისთვის ჰუმანიტარული დახმარების გამოგზავნა. ახლა იქ უკვე გაგზავნილია პროდუქტები და მედიკამენტები ყაზახეთიდან, მე პირადად მზად ვარ, ყოველი ღონე ვიხმარო კონფლიქტის საჩქაროდ მორეგულირებისთვის.

**— მთელი ამ წლების განმავლობაში თქვენ გამოდიოდით ინტეგრაციის თანმიმდევრულ ინიციატორად, რითაც მოიპოვეთ „ახალი კავშირის „შექმნის თავგამოდებული მომხრის რეპუტაცია. ამას თქვენი პოლიტიკური იმიჯი მოითხოვდა თუ საქმე რაღაც შინაგან მოთხოვნებშია?**

— საქმე არც ჩემს იმიჯშია და არც შინაგან მოთხოვნებში. პოლიტიკაში არსებობს მკაფიო იმპერატივები, რომლებიც თქვენ შეგიძლიათ მიიღოთ ან უარყოთ, მაგრამ ისინი არსებობენ პერსონალური სიმპათიებისა და ანტიპათიებისაგან დამოუკიდებლად. თანამედროვე მსოფლიოში არსებობს იმპერატივი — რეგიონული ინტეგრაცია. დღევანდელი მსოფლიო ინტეგრაციული ბლოკების ერთობლიობაა. ამას არავინ უარყოფს, გარდა ყველაზე არქაული იზოლაციონისტებისა. საკითხი მხოლოდ იმაშია — როგორ და ვისთან შევიდეთ ინტეგრაციაში. დარწმუნებული ვარ, რომ ევრაზიული ინტეგრაცია უდიდესი მნიშვნელობის მქონეა პოსტსაბჭოური სახელმწიფოებისთვის. და აქ საქმე არა იმდენად ისტორიულ-კულტურულ რეალიებშია, რამდენადაც პრაგმატულ ფაქტორებში: ეკონომიკურ გეოგრაფიაში, ტრანსპორტის ხელმისაწვდომობაში, ინფრასტრუქტურის სისტემის ერთიანობაში, საკმაოდ მსგავს ტექნოლოგიურ ბაზაში და ა.შ. დროა, თავიდან მოვიცილოთ აღმოსავლეთისა და დასავლეთის ინტეგრაციულ ბლოკებში „რომანტიული ინტეგრაციის“ იდეა. დროა შევიგნოთ, რომ იქ ჩვენ არავის ვჭირდებით.

**— დსთ-ს ლიდერების წარსულ შეხვედრაზე თქვენ გამოხვედით მორიგი ინიციატივით — ევრაზიული კავშირის შექმნით. ზოგმა იგი ნაადრევად მიიჩნია, ზოგმა ეს თქვენს პირად მტრად შეაფასა, მაშინ თქვენს კოლეგებს შორის, ფაქტობრივად, მარტო დარჩით. განზრახული გაქვთ თუ არა, რომ ამ იდეას დაუბრუნდეთ მომავალ შეხვედრაზე, თუ მას „უკეთესი დროისთვის“ გადადებთ, როცა ამისთვის საზოგადოებრივი აზრი და ლიდერები „მომწიფდებიან?**

— გაგახსენებთ, რომ მოსკოვის შეხვედრის დოკუმენტებში მითითებულია ევრაზიული კავშირი პროექტის მნიშვნელოვანი იდეების გამოყენების შესახებ დსთ-ში ინტეგრაციული პროცესების შემდგომი გაღრმავების მიზნით. პოლიტიკაში არ ხდება, რომ რაიმე პროექტი მაშინვე იყოს მიღებული 100 პროცენტით. მიმაჩნია, რომ ასეთი მასშტაბური პროექტის მიღება მაშინვე არ შეიძლებოდა, მაგრამ მისი პოზიტიური მნიშვნელობა უკვე საკმაოდ დიდია. ჯერ ერთი, მკვდარი წერტილიდან დაიძრა დსთ — შეიქმნა სახელმწიფოთაშორისი ეკონომიკური კომიტეტი (ევრაზიული კავშირის ერთ-ერთი მთავარი იდეა); უფრო აქტიურად მიმდინარეობს საპარლამენტო თანამშრომლობის საკითხთა დამუშავება. ევრაზიული კავშირის პროექტის მიხედვით ეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხთაგანია — კანონმდებლობის დაახლოება, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკის სფეროში. ექსპერტთა დონეზე განიხილება, სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხთა კომპლექსი. ალმა-ათის შეხვედრისთვის მზადდება პაქტი მშვიდობისა და სტაბილურობის შესახებ ეაკ-ის იდეის განვითარებისთვის.

მეორე, ეაკ-ის რიგი ელემენტების რეალიზება ხდება ორმხრივი ურთიერთობების დროსაც. კერძოდ, ჩვენ იმედი გვაქვს, უახლოეს დროში შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა დონეზე გავაადვილოთ მოქალაქეობის მიღებისა და შეცვლის პროცედურა ყაზახეთსა და რუსეთს შორის. მესამე, ეაკ-ის პროექტმა დიდი გავლენა მოახდინა მთელი დსთ-ს ფარგლებში საზოგადოებრივ ცნობიერებაზე. ალბათ, მისი არსებობის მანძილზე დსთ-ს არცერთ საგარეოპოლიტიკურ დოკუმენტს არ გამოუწვევია, აზრთა ასეთი ფართო გაცვლა-გამოცვლა.

**— თქვენი პრეზიდენტობის წლებში ყაზახეთმა შეიძინა სუვერენული სახელმწიფოს ყველა ნიშანი, სახელმწიფოებრიობის ბოლო ნიშანი — ეროვნული ვალუტა, — კი ერთი წლის, წინ. როგორია „სრული და საბოლოო სუვერენიტეტის“ შედეგები ამ ერთი წლის მანძილზე?**

— უკვე ითქვა, რომ ყაზახეთი ადრე არასოდეს მართავდა თავის ეკონომიკას სრულად. და ეს მტკიცება ჭეშმარიტება იყო ერთი წლის წინ. ახლა ამგვარი გამოცდილება უკვე გვაქვს. და თუმცა იგი ერთგვარი წარუმატებლობით დაიწყო-გაუარესდა ინფლაციის მაჩვენებლები, გრძელდებოდა წარმოების დაცემა, — მიუხედავად ამისა, უკვე შეიმჩნევა დადებითი ძვრების ნიშნები ფინანსური სტაბილიზაციის მიმართულებით. ჩვენ ხელი მოვაწერეთ საერთაშორისო სავალუტო ფონდთან „სტენდბაის“ ხელშეკრულებას და ყველა პირობას ვიცავთ. სიტყვის დაცვა, პირობების შესრულება სტიმულს აძლევს უცხოელ ინვესტორებს. სადღეისოდ ხელმოწერილია შეთანხმებები ოფიციალური ფინანსური დახმარების გაწევის შესახებ საერთაშორისო სავალუტო ფონდის, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციის და განვითარების ბანკის, აზიის განვითარების ბანკის და იაპონიის მთავრობის მხრიდან და ხელსაყრელ პირობებში გრძელვადიანი კრედიტების მოცემის თაობაზე (სულ 910 მილიონი ამერიკული დოლარის ოდენობით). ხელმოწერილია 88 ინდივიდუალური საკრედიტო შეთანხმება თანხაზე, რომელიც მილიარდნახევარ დოლარს აჭარბებს.

რა თქმა უნდა, ნებისმიერი გარდაქმნა მოსახლეობას გარკვეულ სიძნელეებს უქმნის. მიუხედავად ამისა, სექტემბრიდან განუხრელად მაღლდება საშუალო ხელფასი, რომლის მიხედვითაც ჩვენ დსთ-ს ქვეყნებს შორის მეორე ადგილზე გავედით რუსეთის შემდეგ. 1995 წლის დასაწყისში ეს მაჩვენებელი იქნება აშშ 70 დოლარზე უფრო მაღალი. ამ დღეებში მე თვითონ მივმართე პარლამენტს, რომ დაუყოვნებლივ დაიწყონ და მიიღონ ყველაზე აუცილებელი საკანონმდებლო აქტები, რომლებიც განსაზღვრავენ ეკონომიკურ ურთიერთობათა სამართლებრივ ბაზას, დაარეგულირებენ საკუთრების საკითხებს, ინვესტიციებს, გაკოტრებას, დაგირავებას და ა.შ.

„M.H.“

# ჩეჩნეთის კრიზისი — როგორ ხედავს მას ყაზახური დიასპორა

## მოსკოვმა გაუშვა ხელიდან შანსი შეენარჩუნებინა გროზნო რუსეთის შემადგენლობაში

ჩეჩნეთის კრიზისმა ყაზახეთში მცხოვრები ჩეჩნური დიასპორის ლიდერთა შესამჩნევი გააქტიურება გამოიწვია. კონფლიქტის შეწყვეტის წინადადებებითა და მოთხოვნებით აღსავსე მრავალრიცხოვან მიმართვებსა და წერილებს, როგორც ელცინის, ასევე ნაზარბაევის მიმართ, ემატება სამშვიდობო მისიათა გაგზავნა ყაზახეთიდან კავკასიაში. ამ დღეებში ჩეჩნეთში უკვე მეორე ჯგუფი გაიგზავნა, რომელშიც გაერთიანებულნი არიან ადგილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების წევრები და ჟურნალისტები.

ყაზახეთის ჩეჩენთა საზოგადოების „ვაინახის“ ინიციატივით მიღებულ იქნა მიმართვა მსოფლიოს პარლამენტებისადმი, გაეროს და ევროპაში თანამშრომლობისა და უშიშროების თათბირის მიმართ და ასევე მუსლიმანურ სახელმწიფოთა ლიგისადმი. მიმართვაში კონფლიქტი ხასიათდება, როგორც რუსეთს ფარგლებს გარეთ გასული. მიმართვა მოითხოვენ ჩეჩნეთიდან რუსეთის ჯარის გამოყვანას. დოკუმენტს ხელი მოაწერა სხვადასხვა პარტიებისა თუ ორგანიზაციის თხუთმეტამდე ლიდერმა, მათ შორის ყაზახეთის სახალხო კონგრესის პარტიის ხელმძღვანელმა ოლჟას სულეიმენოვმა. აგრეთვე, სოციალისტური, კომუნისტური, სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებმა. თუმცა ამ დოკუმენტზე ხელის მოწერაზე უარი განაცხადა საბავშვო საქველმოქმედო ფონდის „ბობექის“ პრეზიდენტმა, ყაზახეთის პრეზიდენტის მეუღლემ სარა ნაზარბაევამ. არ შეუერთდა მიმართვას რესპუბლიკური სლავური საზოგადოებრივი მოძრაობა „ლად-ი“.

ადგილობრივი ჩეჩენი ლიდერების, ნ.აბდუევისა და ა.გუნაშევის აზრით, ჩეჩნეთი აგრესიის მსხვერპლი გახდა, რაშიც ჩეჩენი პოლიტიკოსების ბრალი უმნიშვნელოა. როგორც დიასპორის ლიდერები აცხადებენ, დანაშაულებრივი შეთქმულება ჩეჩნეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ მზადდებოდა ტოტალიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ რეჟიმზე გადასვლის ფონზე. აბდუევი და გუნაშევი მიიჩნევენ, რომ რუსეთის სპეცსამსახურები ძირგამომთხრელ საქმიანობას ეწეოდნენ ჩეჩნეთში, რაც გამოიხატა ოპოზიციის შექმნასა და მის გულუხვად მომარაგებაში იარაღით, ფულით თუ სამხედრო სპეციალისტებით. ხოლო პრეზიდენტის მონა-მორჩილმა რუსეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა (თუმცა, არაა დაზუსტებული, რომლებმა) მთელ ჩეჩენ ხალხს საშინელი ინფორმაციული გენოციდი მოუწყვეს. „მათი მეშვეობით იქმნებოდა კრიმინალური ერის სახე“, — განაცხადეს ყაზახეთში ჩეჩენთა დიასპორის ლიდერებმა.

მათი აზრით, რუსეთის მთავრობა და მათ შორის მისი პირველი ხელმძღვანელები ზნეობრივი თვალსაზრისით „უპრინციპო მატყუარები და ცინიკოსები“ აღმოჩნდნენ. როგორც ახლო და შორეული საზღვარგარეთის ჩეჩენთა დიასპორის სამშვიდობო მისიის „მასლაათის“ („თანხმობის“) თავმჯდომარე ამანჩი გუნაშევი მიიჩნევს, ჯერ კიდევ გასული წლის შუა პერიოდში ხელიდან იქნა გაშვებული შანსი — დამსხდარიყვნენ მოსალაპარაკებლად და დაეწყოთ პოლიტიკური დიალოგი, ჩაეტარებინათ ჩეჩნეთში რეფერენდუმი ჩეჩნეთის სუვერენიტეტის თაობაზე, აერჩიათ სახალხო ნდობის მთავრობა. მაშინ ამ კენჭისყრის შედეგები უთუოდ რუსეთის ერთიანობის სასარგებლოდ დამთავრდებოდა, ვინაიდან ჩეჩენი ხალხი ვერ უჭერდა მხარს აბსოლუტური სუვერენიტეტის იდეას. როგორც ჩანს, ისინი მხარს დაუჭერდნენ ე.წ. „თათრულ ვარიანტს“ რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში. გუნაშევი ხელიდან გაშვებულ ამ შესაძლებლობის გამო ბრალს დებს „რუსეთის მთავრობის ძალოვან სტრუქტურებს, რომელთა სათავეშიც პრეზიდენტი ელცინი „დგას“.

„НГ“ № 2. 1995

თარგმნა

**ვახტანგ მშვიდობაძემ**

სასამართლო

# ხანგრძლივი პროცესი

## წერილი მეექვსე

გუშინ სახელმწიფო ბრალმდებელმა კახაბერ კობერიძემ დაასრულა საბრალდებო სიტყვის კითხვა. პროკურორმა დეტალურად მიმოიხილა დარჩენილი ბრალდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულები. მან აღნიშნა, რომ პატიმრების: რამაზ ჩარიგოგდიშვილის, გივი კალმახელიძის, ზურაბ გოგიჩაიშვილის, თეიმურაზ კაპანაძის, ზაზა წიკლაურის, ბესიკ ბოჭორაძის, მამუკა დანელიას, თამაზ წიკლაურის და მამუკა აფციაურის ბრალეულობა დამტკიცებულია მოწმეთა დაკითხვის, ბრალდებულთა დაპირისპირებისა და მათი წინასწარი თუ ხელმეორე ჩვენებების შედეგად.

აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ ბრალდებულს დღემდე არ უცვნია თავი დამნაშავედ.

კახაბერ კობერიძემ გივი კალმახელიძე დაადანაშაულა ორგანიზებული დივერსიული ჯგუფის წევრობასა და არსებული ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამხობის მცდელობაში.

ზურაბ გოგიჩაშვილი — ასაფეთქებელი ნივთიერებების შენახვაში, საჩხერის გზის აფეთქების მცდელობასა და საქართველოს ყოფილი გენერალური პროკურორის ვახტანგ რაზმაძის მკვლელობის მიზნით ტერაქტის ორგანიზებაში. (თავდასხმა ვახტანგ რაზმაძეზე არ განხორციელებულა. ი.ტ.)

თეიმურაზ კაპანაძე — აღნიშნული ტერორისტული და დივერსიული ჯგუფის წევრობასა და დივერსიებში მონაწილეობაში.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ზაზა წიკლაურის ბრალეულობა. მას ბრალად ედება ასაფეთქებელი ნივთიერებების გროზნოდან გადმოზიდვა. კახაბერ კობერიძემ აღნიშნა, რომ არავითარ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას წიკლაურის მიმართ ადგილი არ ჰქონია, პატიმრის სხეულის დაზიანებები კი მისი მანქანიდან გადმოვარდნით ახსნა.

პროკურორის აღნიშნულმა დასკვნამ დარბაზის აღშფოთება გამოიწვია. მოსამართლემ დააწყნარა მოქალაქეები.

პროკურორს არაფერი უთქვამს ზაზა წიკლაურის ცხელი წყლით წამების შესახებ. რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, ამას ადასტურებს „HELSINKI WATSh“_ის საერთაშორისო ორგანიზაციის დასკვნები.

ბესიკ ბოჭორაძეს და მამუკა დანელიას ბრალი ედებათ ჩიქოვანის ქუჩაზე მომხდარი ტერაქტის მოწყობების-პეტრე გელბახიანის და ირაკლი დოკვაძის დამალვასა და ფაქტის განუცხადებლობაში.

თამაზ წიკლაური ბრალმდებელმა დაადანაშაულა დივერსიების და ტერაქტების მომწყობი ჯგუფის წევრობაში.

მამუკა აფციაური — აღნიშნული ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ დესტრუქციულ ქმედებებში.

* * *

დადგა კულმინაციური მომენტი. დარბაზი გაირინდა. სახელმწიფო ბრალმდებელმა კახაბერ კობერიძემ სისხლის სამართლის საქმის შესაბამის მუხლებზე დაყრდნობით მოითხოვა:

1. ირაკლი დოკვაძის სასჯელის უმაღლესი ზომით — დახვრეტით დასჯა და ქონების კონფისკაცია.
2. პეტრე გელბახიანის სასჯელის უმაღლესი ზომით — დახვრეტით დასჯა და ქონების კონფისკაცია.
3. გედევან გელბახიანისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაცია.
4. ვიქტორ დომუხოვსკისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაცია.
5. გოჩა მახვილაძისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაცია.
6. გელა მჭედლიშვილისთვის 13 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაცია.
7. სერგო ხახვიაშვილისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაცია.
8. რამაზ ჩარიგოგდიშვილისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.
9. ივანე ლაშქარაშვილისთვის 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.
10. გივი კალმახელიძისთვის 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. ქონების კონფისკაციით.
11. ზურაბ გოგიჩაშვილისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაცია.
12. თეიმურაზ კაპანაძისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაცია.
13. ზაზა წიკლაურისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით.
14. ბესიკ ბოჭორაძისთვის 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ქონების კონფისკაციით.
15. მამუკა დანელიასთვის 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.
16. მამუკა აფციაურისთვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა. ქონების კონფისკაციით.
17. თამაზ წიკლაურისთვის 15 წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის მკაცრი რეჟიმის კოლონიაში მოხდით და ქონების კონფისკაცია.

* * *

სასამართლო პროცესი 5 თებერვალს განახლდება. სწორედ ეს დრო ითხოვა ირაკლი დოკვაძის ადვოკატმა გოგი მოსესიანმა გამამართლებელი სიტყვის წარმოსათქმელად.

**ირაკლი ტაბლიაშვილი**

კონფლიქტი

# ხიდაშელს — ჭავჭავაძის ჩოხა?

პირველი გვერდიდან

პრესკონფერენციაზე უთანხმოება რამდენიმე კუთხით გამოჩნდა:

**პირველი:** რაიონის გამგეობის აზრით, წინანდლის ღვინის ქარხანა ისტორიული ძეგლია და არ შეიძლება მისი საპრივატიზაციო სიაში შეტანა. ამის თაობაზე არსებობს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის და გამოყენების მთავარი სამეცნიერო-საწარმოო სამმართველოს დასკვნა, რომ წინანდლის ღვინის ქარხანა არ წარმოადგენს ისტორიულ ძეგლს. ისტორიული ღირებულებისაა მხოლოდ ღვინის საცავი, რომელიც ქარხნის ტერიტორიაზე მდებარეობს, თუმცა ამის შესახებ სამთავრობო ან ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს გადაწყვეტილება არ არსებობს, რადგან არ არის ჩატარებული თელავის რაიონის ძეგლთა პასპორტიზაცია. ძეგლთა დაცვის სამმართველოს მიაჩნია, რომ თუ განხორციელდება ქარხნის (ღვინის საცავთან ერთად) გამოსყიდვა, ძეგლთა დაცვის მთავარმა სამმართველომ შესაძლებელია გააფორმოს შესაბამისი დაცვითი და საიჯარო ხელშეკრულებები ძეგლის დაცვის თაობაზე. პრესკონფერენციაში მონაწილეობდა ზემოაღნიშნული სამმართველოს წარმომადგენელი — ბატონი ბაადურ კუპრაშვილი, რომელმაც თამამად განაცხადა, რომ რადგან სახელმწიფოს ჯერ არ გაჩნია ისტორიულ ძეგლთა დაცვის საშუალება, საუკეთესო გამოსავალია კერძო პირებმა მოუარონ მათ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქე ვერ უზრუნველყოფს თავისი კუთვნილი ისტორიული ძეგლის (?!) დაცვას, კანონი უფლებას იტოვებს ჩამოერთვას მას საკუთრების უფლება.

ამ განცხადებამ თელავის რაიონის გამგებლის მოადგილის გოდერძი მამუკელაშვილის და პარლამენტის წევრის სოსო მეგუთნიშვილის უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. მათ შეკითხვას, იცოდა თუ არა ბაადურ კუპრაშვილმა ამ ისტორიული ძეგლის ღირებულება, რომელიც დღეს, ფაქტობრივად, კაპიკებზეა დაყვანილი, შეკითხვის ადრესატმა კონკრეტული პასუხი ვერ გასცა იმ მოტივით, რომ ძეგლთა პასპორტიზაცია თელავში ჯერ არ ჩატარებულა (?!)...

გ.მამუკელაშვილი და ს.მეგუთნიშვილი შეშფოთებას გამოთქვამდნენ, რომ დამცველი ხელშეკრულების მიუხედავად, შესაძლებელია პრივატიზების შემდეგ ექსპონატები დაიფანტოს და დაზიანდეს, რაზეც ქარხნის დირექტორმა უპასუხა, რომ სწორედ მას შემდეგ „დაემგვანა ღვინის საცავი ისტორიულ ძეგლს“, რაც იგი აირჩიეს ქარხნის ხელმძღვანელად, რომ მან გაწმინდა იქაურობა ათასგვარი „სიბინძურისგან“ და დღეს თუ ღვინო „წინანდალი“ ჰოლანდიამ შეისყიდა, ამ ძეგლის დიდი დამსახურებაა, რადგან იგი ფასდაუდებელ სამსახურს, თუ გნებავთ, რეკლამას უწევს „წინანდალს“.

**მეორე:** თელავის რაიონულ გამგეობას ეჭვი აქვს, რომ საპრივატიზაციო დოკუმენტაცია ყალბია, რის გამოც საქმე აღძრული იყო რესპუბლიკის პროკურატურაში. მათ მიაჩნიათ, რომ ღვინის ქარხანა, ფაქტობრივად, კაპიკებად იყიდება, როცა მისი რეალური ღირებულება რამდენიმე ათეული ათასი ამერიკული დოლარია.

ლოგიკური კითხვა დასვა საქართველოს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობისა და კვების მრეწველობის სამინისტროს პრივატიზების განყოფილების უფროსმა მიხეილ კუპრეიშვილმა — რატომ გაიცა საკუთრების დროებითი მოწმობა 1993 წელს, როცა ქარხნის ღირებულების მხოლოდ 13 პროცენტი იყო გადახდილი? რაზეც ზურაბ ნონიაშვილმა არგუმენტირებული პასუხი ვერ გასცა.

**მესამე:** თავის დროზე, მაშინ, როცა სიახლის სიომ ის-ის იყო დაუბერა, წინანდლის საზოგადოებრივი მეურნეობა და ღვინის ქარხანა გაერთიანდა მევენახეობა-მეღვინეობის აგროფირმაში. ახლა ხდება მხოლოდ ქარხნის პრივატიზება, რითაც, ფაქტობრივად, უსახსროდ რჩება საზოგადოებრივი მეურნეობის 200 წევრი. თელავის გამგეობა ქარხნის ამ ფორმით პრივატიზაციის მოწინააღმდეგეა, სამაგიეროდ, ემხრობა მის სააქციონერო საზოგადოებად გადაკეთებას, ამაზე ბატონმა ზურაბ ნონიაშვილმა განაცხადა, რომ დროა თელავის გამგეობა კარგად გაერკვეს კანონებსა და კანონმდებლობებში, რომ სააქციონერო საზოგადოებად გადაკეთება და პრივატიზაციის ეს ფორმა დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. საერთოდ, პრივატიზება სწორადაა ჩატარებული, ამის დამადასტურებელი საბუთები არსებობს და თელავის გამგეობის მეცადინეობა დიდ შედეგს ვერ გამოიღებს.

ამავე საკითხთან დაკავშირებით ბატონმა სოსო მეგუთნიშვილმა თხოვნით მიმართა თამაზ ხიდაშელს: ნუ დატოვებ იმ 200 კაცს სახსრების გარეშე და ნუ გახდი მათ იძულებულს გაავერანონ იქაურობა, გაიხსენე, ეს სწორედ ის ხალხია, ვინც იქ ჩაგიყვანა და დირექტორად დაგსვა, გაიხსენე, რომ ოთხი თვეა ფეხი არ ჩაგიდგამს წინანდალში, ჩამოდი და სოფელს მოუარეო (სხვათაშორის, პრესკონფერენციაზე ითქვა, რომ კარგახანია წინანდლელები სოფელში ეპატიჟებიან ყველა დაინტერესებულ პირს მდგომარეობის ადგილზე შესასწავლად და რატომღაც, ყველა თავს არიდებს მათთან სტუმრობას).

ბატონი სოსოს ამ თხოვნას დარბაზისთვის გასაოცარი რეაქცია მოჰყვა თამაზ ხიდაშელის მხრიდან. მან პირიქით დასვა შეკითხვა — წინანდალში რომ მეპატიჟები, ის რატომ არ მკითხე, რამ მაიძულა ამდენი ხნით მიმეტოვებინა ქარხანაო. ბუნებრივია, ამ დიალოგს ჟურნალისტთა დაინტერესება მოჰყვა, გაირკვა, რომ გასული წლის 5 თებერვალს თამაზ ხიდაშელს 15 ტანკით ესტუმრნენ წესრიგის დამცველები და იგი დააპატიმრეს მოადგილეებთან, ქარხნის ბუღალტერთან და დაცვის მუშაკებთან ერთად. ბატონი თამაზის მტკიცებით, ეს მოხდა სახელმწიფო მეთაურის წარმომადგენლის მოადგილის ქალბატონ მედეა მეზვრიშვილის ინიციატივით, რადგანაც მისი დისშვილი გათავისუფლებულია წინანდლის ღვინის ქარხნიდან ნარკოტიკების მოხმარების გამო. ბატონი თამაზის განცხადებით, მას ავიწროებენ წინანდალში დაინტერესებული პირები, რის გამოც იძულებულია თავი შეაფაროს თბილისს.

თელავის გამგებლობის წარმომადგენელი ამ განცხადებას ერთგვაროვანი რეაქციით შეხვდა, სოსო მეგუთნიშვილმა კი კიდევ ერთხელ შეახსენა დირექტორს, რომ იგი წინანდლელების არჩეულია და მათი ინტერესების უგულებელყოფა კარგს არაფერს მოუტანს.

თამაზ ხიდაშელმა ამ განცხადებას ირონიით უპასუხა — „წინანდლელებს ეშინიათ ალექსანდრე ჭავჭავაძის ჩოხა არ ჩავიცვა, იმიტომ მეწინააღმდეგებიანო“.

პრესკონფერენციის დასასრულს რამდენიმე კითხვის ჩართვა ჟურნალისტებმაც მოახერხეს, თუმცა კონკრეტული პასუხები არ მიუღიათ. გაირკვა, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი ვიცე-პრემიერ თემურ ბასილიას ხელმძღვანელობით, უახლოეს დღეებში განიხილავს წინანდლის ღვინის ქარხნის პრივატიზებასთან დაკავშირებულ საკითხს.

ახლა საკითხავი ერთიღა დარჩა, მართლა იმის ეშინიათ წინანდლელებს ხიდაშელმა არ ჩაიცვას ჭავჭავაძის ჩოხა, თუ სერიოზული საფრთხე ელის ღვინის ქარხანას პრივატიზაციის ამ ფორმით განხორციელების შემდეგ?

**ნინო კუკულაძე**

კავკასიონი
ოთხშაბათი, 1 თებერვალი, 1995

ეროვნული ბიბლიოთეკა

იუბილე

# «ყოჩაღ! არაჩვეულებრივად იცეკვე!»

**ნინო რამიშვილს 85 წელი შეუსრულდა. როგორც ხელოვანს, მას წარდგენა არ სჭირდება, მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ იგი ძალზე დახვეწილი პიროვნება და მეტად მომხიბვლელი ქალბატონია — თავისი ზღვისფერი თვალებით, ახალგაზრდული შემართებითა და მშვენიერი ქალური ღიმილით. გაზეთ „კავკასიონის" რედაქცია ულოცავს ქალბატონ ნინოს იუბილეს. უსურვებს ჯანმრთელობას და კვლავ აქტიური შემოქმედებითი ცხოვრების გაგრძელებას.**



— ქალბატონო ნინო, შორიდან თქვენი ცხოვრება ძალიან მომხიბვლელი გამოიყურება [illegible]

[illegible]

ესაუბრა

ნათია ფანჩიკიძე

# ამაგდარი მეცნიერი და პედაგოგი

**ცოტა ხნის წინ ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ ლევან მენაბდეს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა და მისმა კოლეგებმა და აღზრდილებმა მილოცვასთან ერთად ახალი წარმატებები უსურვეს პედაგოგიური, მეცნიერული და საზოგადოებრივი მოღვაწეობის ასპარეზზე.**

[illegible]

ლაურა გრიგოლაშვილი
რევაზ სირაძე
[illegible]
ლუიზა [illegible]
ელგუჯა ხინთიბიძე

მსოფლიოს რელიგიები

# როცა დადგება რამადანი, განიხსნება ბჭენი სამოთხისანი

ასე ამბობენ მუსლიმები რამადანის თვის დადგომასთან დაკავშირებით. რამადანი (სპარსულად და თურქულად რამაზანი) მუსლიმთა მთვარის კალენდრის მე-9 თვეა. მთვარის წელიწადი 11 დღით მოკლეა მზისაზე და ამიტომ ეს თვე ყოველწლიურად სხვადასხვა დროს დგება. წელს რამადანი 1 თებერვალს იწყება და 2 მარტს სრულდება.

მუსლიმთა საღვთო წიგნის, ყურანის თანახმად, „რამადანი ათას სხვა თვეზე უკეთესია". მისი ასეთი დაფასება არაერთმა მიზეზმა განაპირობა. სწორედ რამადანის თვის 27-ში, ღამით, ისლამის ფუძემდებელს მუჰამადს პირველად გარდმოევლინა ზეშთაგონება ყურანის სახით. მუსლიმთათვის ეს ღამე არის „ლაილათ ალ-კადარ" — „ღამე ძლიერებისა" (ან განაჩენისა), როცა ალლაჰი გადაწყვეტილებებს იღებს ადამიანთა ბედზე. სხვადასხვა დროს რამადანის თვეში ისლამის ისტორიის არაერთი მნიშვნელოვანი ამბავი მოხდა. 6 რამადანს დაიბადა მუჰამადის შვილიშვილი ჰუსაინი, რომელსაც დღემდე ეთაყვანებიან მუსლიმი შიიტები, 10 რამადანს გარდაიცვალა მუჰამადის პირველი და უსაყვარლესი მეუღლე ხადიჯა, 17 რამადანს ისლამის ფუძემდებელმა ბადრთან ბრძოლაში პირველი დიდი გამარჯვება იზეიმა წარმართ მექელებზე, 21 და 22 რამადანი მისი სიძის და არაბთა მე-4 ხალიფას ალის დაბადების და გარდაცვალების დღეებია, მაგრამ რამადანი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ არის მნიშვნელოვანი მუსლიმთათვის, რომ ის სავალდებულო მარხვის თვეა. მარხვა (არაბ. ას-საუმ) ერთ-ერთი ძირითადი მოვალეობაა ისლამისა (სხვა მოვალეობებია: მონოთეისტური მუსლიმური რწმენის ფორმულის აღიარება, დღეში ხუთჯერ ლოცვა, ღარიბებისთვის სავალდებულო მოწყალების გაღება და მექის მოხილვა-მოლოცვა-ჰაჯი).

მარხვა რამადანის თვეში ყურანმა დააწესა (II, 185). ირიჟრაჟებს თუ არა, სრულწლოვანი და ჯანმრთელი მუსლიმები ვალდებულნი არიან თავი შეიკავონ ჭამა-სმისგან. არ მარხულობენ მხოლოდ ფეხმძიმენი, ქალები, რომელთაც ძუძუმწოვარა ბავშვი ჰყავთ, პატარები, მოხუცები, ავადმყოფები და ის მოგზაურები, რომლებიც მზის ამოსვლამდე დაადგნენ გზას.

რამადანის თვეში მუსლიმებს ევალებათ თავი შეიკავონ სიამოვნებებისგან — იქნება ეს სანახაობებზე დასწრება, თამბაქოს მოწევა თუ ცოლ-ქმრული ალერსი. მაგრამ ასეა დღისით, დაბინდებამდე, მერე კი აკრძალვები იხსნება. ყურანი უცხადებს მორწმუნეებს: „ნება გაქვთ ჭამოთ და სვათ მანამდე (ალიონამდე), ვიდრე შეიძლებთ თეთრი ძაფი გაარჩიოთ შავ ძაფში". ასევე ნებას აძლევს თავიანთ „ცოლებს დაუახლოვდნენ მარხვის ღამესა". აკრძალვების მოხსნა იმას არ ნიშნავს, რომ მუსლიმებმა მეტის-მეტის უფლება მისცენ თავს. მათ რჩევა ეძლევათ დრო ღვთისმსახურებაში გაატარონ. „ვინც იმარხულებს რამადანში რწმენით და სტუეთით, ალლაჰის მიერ შეენდობა ყველა ის ცოდვა, რაც ადრე ჩაიდინა", — აცხადებს ისლამი.

საპატიო მიზეზით მარხვის დამრღვევები (ავადმყოფები, მოგზაურები...) სხვა დროს მარხულობენ ხოლმე. იგივე ევალება მათ, ვინც არასაპატიო მიზეზით ვერ შესძლო დაეცვა მარხვა. სასჯელის სახით ისინი ღარიბ-ღატაკებზე მოწყალებასაც გასცემენ.

ილი როდია 30 დღე იმარხულო, მაგრამ მუსლიმები ცდილობენ გარეგნულად არაფერი შეიმჩნიონ. ეს კია, რამადანის თვეში მუსლიმურ ქვეყნებში სახელმწიფო დაწესებულებები დროზე ადრე წყვეტენ მუშაობას, ხოლო დუქნები და მაღაზიები სანახევროდ დაკეტილია (ჩვენი ტურისტების საყურადღებოდ). სამაგიეროდ, დასრულდება თუ არა რამადანის თვე, იწყება იდ ალ-ფითრის 3-4 დღიანი დღესასწაული, როცა მუსლიმები ინაზღაურებენ ყველა იმ სიამოვნებას, რაზედაც უარი თქვეს ერთი თვის მანძილზე.

გოჩა ჯაფარიძე



ფსიქოლოგი გვირჩევს

# ბავშვის აღზრდა

ჩვენი გაზეთის მეშვეობით თქვენ, იმედია, გაეცანით ამერიკელი ფსიქოლოგისა და პედიატრის ალან ფრომის კითხვარს და დაინტერესდით ამ აქტორის თვალსაზრისით ბავშვის აღზრდის თაობაზე. ახლა მოკლედ გაგაცნობთ ალან ფრომის კიდევ რამდენიმე მოსაზრებას.

ბუნებრივია, ასაკის მომატებასთან ერთად, ადამიანი ცხოვრებისეულ გამოცდილებასაც იძენს. მაგრამ, სამწუხაროდ, არცთუ იშვიათად, ფიზიკურად ზრდასრული ადამიანი ფსიქოლოგიურად ისევ ბავშვობის ასაკში რჩება. მშობლისა და შვილის ურთიერთობის ყოველი მცირე ნიუანსიც კი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოზარდის ფსიქიკის განვითარებაზე.

აღზრდის პროცესში მშობლის ფსიქოლოგიური სრულფასოვნება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია. რადგან დედა ან მამა, რომელიც შვილის ჭირვეულობას საკუთარი ჭირვეულობით პასუხობს, ვერაფერი მისაბაძი მაგალითია ბავშვისთვის.

საყურადღებოა, როგორ უყალიბდება ბავშვს ისეთი მნიშვნელოვანი ჩვევები, როგორიცაა კვება, ძილი და ა.შ. ამ პერიოდში მშობელს შეუძლია, დიდი სამსახური გაუწიოს შვილის ფსიქოლოგიურ ზრდას, ან შეაფერხოს იგი. ერთი მხრივ, ბავშვი მოზარდია ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით და არანაირად არ შეიძლება, თუნდაც უნებლიედ, ხელი შევუშალოთ მის ზრდა-განვითარებას; მეორე მხრივ, არანაკლებ საშიშია, დავივიწყოთ ბავშვის რეალური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ასაკი და მოვთხოვოთ ის, რისი შესრულებაც მის შესაძლებლობებს აღემატება.

ბავშვის ზრდის სტიმულირებას მხოლოდ წახალისებით და გამხნევებით უნდა ვცდილობდეთ. თუ, მაგალითად, გვსურს, რომ ჩვენი შვილი გულუხვი იყოს და მეგობრებს ადვილად უწილადოს საკუთარი სათამაშოები, უმჯობესია, თუ მას ყოველგვარი ძალდატანების გარეშე მოვექცევით. ეს ბავშვს აგრძნობინებს, რა სასიამოვნოა, იყო სულგრძელი და გულკეთილი.

ბავშვის ფსიქოლოგიური ზრდა-განვითარება დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ვაძლევთ საშუალებას, შეიცნოს საკუთარი თავი, დარწმუნდეს საკუთარ შესაძლებლობებში. მაგალითად, 4-5 წლის ბავშვს რაიმეს გაკეთების სურვილი აქვს, ხოლო ჩვენ ვუკრძალავთ, რადგან ჩვენს ცნობიერებაში ეს გარკვეულ საფრთხესთან არის დაკავშირებული. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ შემთხვევაში, ჩვენ არა მხოლოდ საკუთარ შიშებს გადავცემთ პატარას, არამედ საშუალებას არ ვაძლევთ მას, შეიგრძნოს შინაგანი ძალები და გამოამჟღავნოს ფარული რეზერვები.

ბავშვი მით უფრო მეტად არის დარწმუნებული საკუთარ თავში, რაც უფრო მეტ სიყვარულს გრძნობს ჩვენგან. მაგრამ, მიუხედავად ამისა, შვილი უნდა ხვდებოდეს, რომ მშობლის სიყვარული მხოლოდ და მხოლოდ მისი საკუთრება არ არის. თუ პატარას ეცოდინება, რომ ჩვენი მისდამი სიყვარული ნაწილია იმ დიდი გრძნობისა, რომელიც სხვა ადამიანების მიმართაც გვაქვს, ეს ხელს შეუწყობს მის ფსიქოლოგიურ ზრდას და გაუქარვებს სურვილს, რომ მთელი ცხოვრების განმავლობაში „ბავშვად" იგრძნოს თავი.

ფსიქოლოგიური სიმწიფის უტყუარი ნიშანია ადამიანის უნარი, უარი თქვას რაიმე სასურველზე. 3-4 წლის ასაკში ძალიან ძნელი ასახსნელია ბავშვისთვის, როგორ შეიძლება რაიმეზე უარის თქმა. მაგრამ მშობელმა ეს უნდა მოახერხოს, მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ, რა სიმკაცრით შეგვიძლია, ავკვეთოთ ბავშვის დაჟინებული მოთხოვნები. მოთმინებით უნდა დავუსაბუთოთ ბავშვს უარის მიზეზი, თუ გვინდა, ხელი შევუწყოთ მის ფსიქოლოგიურ ზრდას და, სახელდობრ, განვუვითაროთ მისთვის სასურველზე უარის თქმის უნარი.

ექვსი წლის ასაკის ბავშვის ფსიქიკა თუ უფრო მეტად არის განვითარებული, ვიდრე ორი წლის ასაკში იყო, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ მიღწეულია ფსიქოლოგიური სიმწიფე. მშობლის უმთავრესი ამოცანაა, გაცილებით მომთხოვნი იყოს საკუთარი თავის მიმართ, ვიდრე ბავშვის მიმართ.

მოამზადა

ქეთევან კობალაძემ

სენსაცია?

ჰოროსკოპების მოყვარულთა საყურადღებოდ!

# აღმოჩენილია ზოდიაქოს მეცამეტე ნიშანი

სენსაცია: ინგლისელი ასტრონომების აზრით, ზოდიაქოს ნიშანთა რიცხვი 13-ია და არა — 12. ასე რომ, გადაამოწმეთ, რომელ ნიშანზე ხართ დაბადებული. სავსებით შესაძლებელია, რომ იგი შეიცვალა.

\+ + +

ინგლისის სამეფო ასტრონომიულმა საზოგადოებამ რამდენიმე დღის წინ გააკეთა სენსაციური განცხადება, რომელმაც ასტროლოგებში უთანხმოება გამოიწვია. საზოგადოების წევრ მეცნიერთა აზრით: „აქამდე მიღებული წარმოდგენები ციური ნიშნების შესახებ მცდარი აღმოჩნდა". თანავარსკვლავედთა რიცხვი 13-ია და არა — 12. ახალი მეცამეტე თანავარსკვლავედი (ესკულაპი) „მოიცავს" პერიოდს 30 ნოემბრიდან 17 დეკემბრამდე. ამ სენსაციური ინფორმაციის საფუძველზე შეიცვალა ყველა ნიშნის დროითი საზღვრები.

სამეფო ასტრონომიული საზოგადოების სახელით განცხადება გააკეთა ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა მეცნიერმა, დოქტორმა ჟაკლინ მიტონმა, რომელმაც აღნიშნა, რომ აზრი მეცამეტე თანავარსკვლავედის არსებობის შესახებ მეცნიერებაში ყოველთვის არსებობდა. თურქულ გაზეთ „ჰურიეთთან" ინტერვიუში მან განაცხადა, რომ გამოკვლევებს 1991 წელს შეუდგა, მას შემდეგ, რაც თეორიულ ნაშრომში კირჩხიბის თანავარსკვლავედის შესახებ შეცდომა აღმოაჩინა. როგორც ცნობილია, წლის მანძილზე მზის გარშემო ბრუნვისას დედამიწა გაივლის თანავარსკვლავედებს და დროის ამა თუ იმ მონაკვეთში დაბადებულ ადამიანთა ხასიათი განისაზღვრება ვარსკვლავებით, რომელთა სიახლოვეშიც იმყოფება დედამიწა. ორი ათასი წლის წინ ასტროლოგები თვეების მიხედვით ალაგებდნენ დედამიწის ზოდიაქალურ თანავარსკვლავედებთან მიმართებას, რის საფუძველზეც გაჩნდა პირველი ჰოროსკოპი. თუმცა, საუკუნის შემდეგ კუთხე დედამიწასა და მზეს შორის, შესაბამისად, დედამიწასა და თანავარსკვლავედს შორის მნიშვნელოვნად შეიცვალა, რომელიც მისის მიტონის აზრით, ყოველ 2000 წელს იცვლება და პირველად სახეს იღებს ყოველი 26 ათასი წლის შემდეგ.

მისის მიტონი „სიბრიყვეს" უწოდებს აზრს, რომლის თანახმადაც თითქმის მილიონი სინათლის წლით დაშორებული რომელიღაც პლანეტა ადამიანზე რაღაც გავლენას ახდენდეს.

ამ „აღმოჩენას" მოწინააღმდეგეებიც გაუჩნდა. მას პირველი გამოეხმაურა ინგლისური გაზეთ „The Daily Telegraph"-ის ასტროლოგი რობერტ ჰაიდი, რომელმაც მისის მიტონსა და მისნაირებს დილეტანტები უწოდა და გამოთქვა გაკვირვება: „ვინა თქვა, რომ თანავარსკვლავედების რიცხვი სულ 12-ია?! მე მგონი, მათი რიცხვი 88-ა!"

და ბოლოს: მკითხველს ვთავაზობთ ახალ, სახეცვლილ ასტროლოგიურ კალენდარს, მეცამეტე თანავარსკვლავედით, რომლის სიმბოლო გველიანი მამაკაცია.

**თხის რქა** —
19 იანვარი — 15 თებერვალი
**მერწყული** —
16 თებერვალი — 11 მარტი
**თევზები** —
12 მარტი — 18 აპრილი
**ვერძი** —
19 აპრილი — 13 მაისი
**კურო** —
14 მაისი — 20 ივნისი
**ტყუპები** —
21 ივნისი — 19 ივლისი
**კირჩხიბი** —
20 ივლისი — 9 აგვისტო
**ლომი** —
10 აგვისტო — 15 სექტემბერი
**ქალწული** —
16 სექტემბერი — 30 ოქტომბერი
**სასწორი** —
31 ოქტომბერი — 22 ნოემბერი
**ღრიანკალი** —
23 ნოემბერი — 29 ნოემბერი
**ესკულაპი** —
30 ნოემბერი — 17 დეკემბერი
**მშვილდოსანი** —
18 დეკემბერი — 18 იანვარი

გაზეთი „Gun ay"

რომელ დღეს რა მოხდა

# 1 თებერვალი

1896- ქ.ტურინში გაიმართა ჯაკომო პუჩინის ოპერა „ბოჰემის" პრემიერა. ლიბრეტო ეკუთვნოდა ჯ.ჯაკოზას, ა.მიურჟეს რომანის მიხედვით.

1938 — ამერიკელ მწერალთა ლიგის თავმჯდომარემ დონალდ ოგდენ სტიუარტმა მწერლებს შესთავაზა პასუხის გამოგზავნა ორ კითხვაზე „ეთანხმებით თუ არა ფრანკოსა და ფაშიზმს? უცხადებთ თუ არა სოლიდარობას ესპანეთის კანონიერ ხელისუფლებას?" ოთხასზე მეტმა ამერიკელმა მწერალმა მხარი დაუჭირა რესპუბლიკურ ესპანეთს და დაგმო ფაშიზმი. იმავე წლის მაისში პასუხები ცალკე წიგნად გამოქვეყნდა.

1985 — გარდაიცვალა იპოლიტე ხვიჩია.

ფეხბურთი

# «ინტერი» ელის «პრეზიდენტისიმოს»!



რას იზამს „ინტერის" ყველაზე სახელგანთქმული ფეხბურთელი. დარჩება თუ არა გუნდში?

უკვე ორი თვეა, მილანის „ინტერის" ფეხბურთელები გაურკვევლობის მდგომარეობაში იმყოფებიან, რადგან არ იციან, ცოტა ხნის შემდეგ ვინ იქნება მათი პრეზიდენტი, მათი მწვრთნელი. ორი თვეა, გუნდის პრეზიდენტი ერნესტო პელეგრინი ყოყმანობს — წავიდეს თუ არ წავიდეს. უკანასკნელად კლუბში მომხდარი „გადატრიალების" შესახებ 25 იანვარს გამოცხადდა, როცა „ინტერის" ვიცე-პრეზიდენტმა რობერტო ტავეკიომ, როგორც ყველას ეგონა, პელეგრინი მისთვის „ინტერის" აქციების 44 პროცენტის მიყიდვაზე დაითანხმა. რადგან ტავეკიო უკვე ფლობდა აქციების 12 პროცენტს, ამიტომ საკონტროლო პაკეტი მის ხელში გადადიოდა და იგი გახდებოდა ახალი, კლუბის ისტორიაში რიგით მე-18 პრეზიდენტი.

მაგრამ იმავე ღამეს პელეგრინიმ ტავეკიოს სახლში დაურეკა და აცნობა, რომ გადაიფიქრა. პრეზიდენტის სავარძლის ბედი კვლავინდებურად ჰაერში გამოკიდებული დარჩა. თუმცაღა, როგორც იტალიელი ჟურნალისტები ვარაუდობენ, პელეგრინის პრეზიდენტობის დღეები დათვლილია: „ინტერი" უკვე ზედიზედ მეორე წელია, ვერ ტოვებს იტალიის ჩემპიონატის ფსკერს, დაკარგა პოზიციები საერთაშორისო არენაზე და სჭირდება კაცი, რომელიც კლუბს კრიზისიდან გამოიყვანს.

„ინტერის" გულშემატკივრები ერთსულოვნად მიიჩნევენ, რომ გუნდს იხსნის მასიმო მორატი — ტავეკიოს მსგავსად, პრეზიდენტის სავარძლის № 2 პრეტენდენტი. ტავეკიოსგან განსხვავებით (რომელიც კლუბში არასაფეხბურთო წრეებიდან მოვიდა), მორატი არის იმ ოჯახის წარმომადგენელი, რომელიც „ინტერში" დიდი პატივისცემით სარგებლობს. მამამისი — ანჯელო მორატი გუნდის ისტორიაში ყველაზე გამოჩენილ პრეზიდენტად („პრეზიდენტისიმოდ") არის მიჩნეული. მისი ხელმძღვანელობის დროს — 1955-1968 წლებში „ინტერმა" უდიდეს წარმატებებს მიაღწია: სამჯერ გაიმარჯვა ეროვნულ ჩემპიონატში, ორჯერ ჩემპიონთა და საკონტინენტთაშორისო თასები მოიპოვა.

60-იანი წლების „დიდი ინტერის" ვარსკვლავები — სანდრო მაცოლა და ჯიაჩინტო ფაკეტი ასევე მიესალმებიან მორატის კანდიდატურას და პელეგრინის მოუწოდებენ, მართვის სადავეები მას გადასცეს. რობერტო ტავეკიოს კონკურენტის ასეთი პოპულარობა სულაც არ აშფოთებს. იგი აცხადებს: „მილანის ნახევარი მორატის უჭერს მხარს? მერე რა, ხომ არსებობს მეორე ნახევარიც, რომელიც ჩემსკენაა?!"

თუკი პრეზიდენტობისთვის ბრძოლაში ტავეკიო გაიმარჯვებს, თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ის პოსტიდან მოხსნის „ინტერის" ამჟამინდელ მწვრთნელს ოტავიო ბიანკის, რომელთანაც ცუდი ურთიერთობა აქვს. ისიც საეჭვოა, რომ ბიანკი პელეგრინის პრეზიდენტობის დროსაც „ინტერში" სეზონის ბოლომდე დარჩეს.

ამ დღეებში მილანში ჯოვანი ტრაპატონი იმყოფებოდა, რომელიც კლუბის ხელმძღვანელობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებას. მისი დეტალები უცნობია, მაგრამ ტრაპატონიმ რომც მოინდომოს, „ინტერში" მხოლოდ მომდევნო სეზონიდან დაბრუნდება (შეგახსენებთ, რომ კლუბმა ტრაპატონის ხელმძღვანელობით იტალიის ჩემპიონობა და უეფას თასი მოიპოვა), რადგან მიუნხენის „ბაიერნი" არ აპირებს დაარღვიოს მასთან დადებული კონტრაქტი, რომელსაც ვადა მხოლოდ ივნისში გასდის. საჭიროების შემთხვევაში, სეზონის ბოლოს „ინტერს" ბრუნო ჯორჯი ან ჯანპიერო მარინი ავარჯიშებს.

შექმნილი ქაოსური მდგომარეობით უკმაყოფილო ფეხბურთელებს უფრო და უფრო მიუწევთ გული სხვა გუნდებისკენ. მაგალითად, რუბენ სოსა ლამისაა დათანხმდეს ყოფილი თანაგუნდელების ვალტერ ძენგასა და რიკარდო ფერის მოწოდებებს და მათ „სამპდორიაში" შეუერთდეს; მიფუმეტეს, რომ ურუგვაელს „ინტერთან" კონტრაქტი მალე დაუმთავრდება.

მოამზადა
**გოჩა გელაშვილმა**

## პოპულისტი პრეზიდენტი

„ბატონო პრეზიდენტო, სამწუხაროდ, ამჟამად დაკავებული ვარ" — ამგვარი პასუხი მიიღო არგენტინის პრეზიდენტმა კარლოს მენემმა ფეხბურთის მეფე პელესგან, როცა მას ჩოგბურთის თამაში შესთავაზა. მენემი ამ დროს ბრაზილიაში თავის კოლეგა ფერნანდუ კარდოზოსთან სამუშაო ვიზიტით იმყოფებოდა და გადაწყვიტა, ხალხის ყურადღება ამგვარი პოპულისტური ხერხით მიეპყრო. მაგრამ ახლად გამომცხვარმა ბრაზილიის სპორტის მინისტრმა მას ჩანაფიქრში.

## ჟუნიორი ბრუნდება

ცნობილმა ბრაზილიელმა ფეხბურთელმა ჟუნიორმა 40 წლის ასაკში დიდ ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტა. იგი კორეის პროფესიონალური ლიგის კლუბ „პოსკოში" ითამაშებს, რომელიც 2 მილიონ დოლარს გადაუხდის.

## გარდაიცვალა იოჰან კრუიფის პირველი მწვრთნელი

79 წლის ასაკში გარდაიცვალა ინგლისელი მწვრთნელი ვიკ ბოკინგემი, რომელიც 60-იან წლებში ამსტერდამის „აიაქსს" წვრთნიდა და იოჰან კრუიფი აღმოაჩინა. თვითონ ბოკინგემი 1935-49 წლებში ინგლისის „ტოტენჰემში" თამაშობდა. „აიაქსის" გარდა, სხვადასხვა დროს, იგი „ბარსელონას", „სევილიასა" და საბერძნეთის „ეთნიკოსს" ავარჯიშებდა.

## ნიგერიაში პატიოსნება დაცული იქნება

ნიგერიის ინფორმაციის მინისტრმა ჯერი განამ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზად არის უმასპინძლოს ახალგაზრდული ნაკრებების მსოფლიო ჩემპიონატს. ცოტა ხნის წინ ამის არავის სჯეროდა: ფიფას წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ თუკი ნიგერია 11-25 მარტს შესძლებდა ტურნირის ჩატარებას, ეს მსოფლიოს მერვე საოცრება იქნებოდა. თუ რამდენად თანხვდება ნიგერიელთა სიტყვა და საქმე ერთმანეთს, ამას უახლოეს დღეებში ფიფას მორიგი საინსპექციო კომისია შეამოწმებს. ჯერი განამ, რომელიც შეთავსებით კორუფციასა და დამნაშავეობასთან ბრძოლის სამთავრობო კომისიას ხელმძღვანელობს, თქვა, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დროს მისი თანამემამულეები, ტრადიციების საწინააღმდეგოდ, სტუმრებს არ მოატყუებენ. „მე მოვუწოდე ტაქსისტებს მგზავრობის საფასურად ზედმეტი თანხა არ მოითხოვონ, ვაჭრებს — იყვნენ პატიოსნები, ხოლო სხვებს — არ აიღონ ქრთამი და არ იმათხოვრონ" — ხაზგასმით აღნიშნა ინფორმაციის მინისტრმა.

GEORGIAN MARITIME BANK



საქართველოს საზღვაო ბანკი

საქართველოს საზღვაო სააქციო კომერციული ბანკი
ბათუმი, 384517
გოგებაშვილის №60.
ტ: 3-54-69, 2-00-50
ფაქსი: 873 1405477
ტელექსი: 412616 GESC SU

THE GEORGIAN MARITIME BANK
60, Gogebashvili
Batumi, 384517
Republic of Georgia
Phone: 2-00-50, 3-54-69
Fax: (873) 1405477
Telex: 412616

საზღვაო ბანკი
თქვენი ბანკია

მომსახურება მინიმალური ტარიფებით

საერთაშორისო საბანკო ოპერაციები სამი საბანკო დღის ვადაში

ვალუტის კონვერტაცია

ნაღდი ფულის ინკასაცია

გაცვეთილი ფულადი ნიშნების შესყიდვა

ძიუდო

# მოსკოვური ოქრო-ვერცხლი



სოსო ლიპარტელიანი

28-29 იანვარს მოსკოვში მესამედ გაიმართა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი ჭიდაობა ძიუდოში (რომელსაც მომავალ წელს „ა" კლასის კატეგორიას მიანიჭებენ). ტურნირში მონაწილეობა მიიღეს იაპონიის, კორეის, ჩინეთის, საფრანგეთის, ჰოლანდიის, ბულგარეთის, ეგვიპტისა და ყოფილი სსრკ-ს თითქმის ყველა რესპუბლიკის სპორტსმენებმა. საქართველო ამ შეჯიბრებაზე შესუსტებული შემადგენლობით გაემგზავრა, რადგან გუნდის ლიდერები: გიორგი ვაზაგაშვილი, გიორგი რევაზიშვილი, ივერი ჯიქურაული და დავით ხახალეიშვილი საფრანგეთში საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფებიან. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის ბატონ ანზორ მარტყოფლიშვილის თქმით, წამყვან მოჭიდავეებს ეროვნულ ნაკრებში, რომელიც ოლიმპიადისთვის ემზადება, ადგილი დაჯავშნული აქვთ. გუნდის მესვეურთა ძირითადი მიზანი სპორტსმენების 3 წონით კატეგორიაში (71 კგ, 78 კგ და 95 კგ.) გამოცდა იყო. ჩვენმა ძიუდოისტებმა წარმატებით გაართვეს თავი ამოცანას და ზემოთ დასახელებულ ოთხეულს კიდევ ორი კაცი შეუერთდა. ტურნირის ჩემპიონობა სოსო ლიპარტელიანმა (78 კგ.) მოიპოვა, ხოლო 95 კგ. წონით კატეგორიაში მოასპარეზე მევლუდ ლობჟანიძემ მეორე ადგილი დაიკავა.

სოსო ლიპარტელიანმა პირველ შეხვედრაში სუფთად (იპონით) დაამარცხა უზბეკეთის წარმომადგენელი შნაკოვი, მეორეში ასევე სუფთად სძლია სანკტ-პეტერბურგელ აბდულაევს, მესამეში დიდი ანგარიშით (5:0) მოუგო საკმაოდ ძლიერ კორეელ ძიუდოისტს — ჩუნგ სე ხუნს, ხოლო ფინალში 10 წამში, იპონით დაჯაბნა ლიტველი პეჩენიუნასი.

მევლუდ ლობჟანიძემ პირველ წრეში სუფთად სძლია ეგვიპტელ ჰაშინს, მეორეში — ასევე სუფთად რუსეთის წარმომადგენელ ალიხანოვს, მესამე წრეში ლიტველი ამბრაშკას — 5:0, მეოთხეში — ჰოლანდიელ სკულდერს — 7:0 და ფინალში გავიდა, სადაც მსოფლიო და ოლიმპიური თამაშების პრიზიორთან- რუს სერგეევთან დამარცხდა. მევლუდ ლობჟანიძემ, რომელიც წინა ორ ტურნირზე მესამე იყო, ახლა ერთი საფეხურით წინ გადაინაცვლა.

ანზორ მარტყოფლიშვილი: „71 კგ. წონით კატეგორიაში საასპარეზოდ ორი მოჭიდავე — გ.იოსელიანი და კ.თადიაშვილი გვყავდა წაყვანილი, მაგრამ მათ ამ ტურნირზე ვერ გამოავლინეს თავიანთი შესაძლებლობები და აღნიშნული წონა ჯერჯერობით „აქილევსის ქუსლად" გვრჩება.

საინტერესოა, რომ უკრაინამ სულ ორი საპრიზო ადგილი მოიპოვა და ორივე ძიუდოს ქართული სკოლის აღზრდილებზე — იოსებ ჩიმჩიურსა (71 კგ.) და კობა ნადირაძის (95 კგ.) ანგარიშზეა, რომლებმაც ტურნირზე მესამე ადგილები დაიკავეს".

წონითი კატეგორიების მიხედვით, ტურნირის ჩემპიონები გახდნენ: ი.ოჟეგინი (რუსეთი, 60 კგ.); ვ.პოტაპოვი (რუსეთი, 65 კგ.) — ამ წონაში საქართველოს წარმომადგენელი მამუკა კურდღელაშვილი მეხუთე ადგილზე გავიდა; ა.ლარიუკოვი (რუსეთი, 71 კგ.), ს.ლიპარტელიანი (საქართველო, 78 კგ.); ა.ბალდასაროვი (უზბეკეთი, 86 კგ.); დ.სერგეევი (რუსეთი, 95 კგ.); დ.დუიე (საფრანგეთი, 98 კგ.).

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველ ადგილზე რუსეთის ნაკრები გავიდა, მეორეზე — საქართველო, მესამეზე — საფრანგეთი, მეოთხეზე — კორეა, მეხუთეზე — იაპონია.

ატლანტის ოლიმპიადაზე მონაწილეთა ადგილები შემდეგი მაჩვენებლის მიხედვით განაწილდება: სულ ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის მიერ ოლიმპიადაზე 200 სპორტსმენი იქნება დაშვებული. იაპონიაში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე პირად ჩათვლაში 1-8 ადგილზე გასული ძიუდოისტები (ყველა წონაში) ავტომატურად მოიპოვებენ ოლიმპიადის საგზურებს.

ის სპორტსმენები, რომლებიც უძლიერესთა შორის ვერ მოხვდებიან, დამატებით ადგილების მოპოვებას თავ-თავიანთ კონტინენტებზე შეეცდებიან. ასე, მაგალითად, ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებმა „ა" კლასის 10 საერთაშორისო ტურნირსა და ევროპის ჩემპიონატში უნდა მიიღონ მონაწილეობა. შემდეგ შეჯამდება ევროპის ჩემპიონატისა და კიდევ 3 ტურნირის შედეგი და ოლიმპიელთა რიცხვს თითოეულ წონაში კიდევ 8 უძლიერესი მოჭიდავე დაემატება.

**გოჩა საითიძე**



მევლუდ ლობჟანიძე (მარჯვნივ) ჭიდაობის დროს

## სატელევიზიო პროგრამები — ოთხშაბათი, 1 თებერვალი

### „ოსტანკინო"

7.30. „უტრო".
9.52. ნოვოსტი.
10.00. მულტსერიალი „ტოპო ჯინჯიო".
10.25. ტელესერიალი „ველური როზა".
10.52. ნოვოსტი.
11.00. მოგზაურთა კლუბი.
11.52. ნოვოსტი.
16.00. მეცნიერება და ბაზარი.
16.20. ფული და ბედნიერება.
16.30. საქმიანი ცხოვრების ქრონიკა.
16.40. სააგენტო „შანსი".
16.52. ნოვოსტი.
17.00. „უცქირე, უსმინე".
17.20. მულტფილმი „მოგზაურობა წარსულში".
17.52. ნოვოსტი.
18.00. ტინ-ტონიკი.
18.20. ახალგაზრდული სერიალი „ელენი და მეგობრები".
18.52. მსოფლიო დღეს.
19.00. ეთერშია სახელმწიფოთა შორისი ტელერადიოკომპანია „მირ".
19.45. „ვინ ვინ არის. XX საუკუნე" აიათოლლა ჰომეინი.
19.52. ნოვოსტი.
20.00. პიკის საათი.
20.30. ტელესერიალი „ველური როზა".
20.55. ვ.ვულფის საავტორო პროგრამა — „ვერცხლის სფერო".
21.40. „ძილი ნებისა, პატარებო!"
22.00. ვრემია.
22.40. მონოლოგი.
22.50. „შორს ომიდან. კრასნოიარსკი".
23.50. მხატვრული ფილმი „პირადი მცველი".
00.52. ნოვოსტი.
01.00. მხატვრული ფილმი „პირადი მცველი" (გაგრძელება).
01.35. ავტო-შოუ.
01.52. პრეს-ექსპრესი.

### „როსია"

8.00. ვესტი.
8.05. რიტმიკა.
8:20. ვარსკვლავები საუბრობენ.
8.25. სხვათა შორის.
8.55. დროის მდინარე.
9.00. ვესტი.
9.25. ტელეგაზეთი.
9.30. საქმიანი ადამიანების დრო.
10.00. ეი-ბი-სი-ს ახალი ამბები.
10.25. საკვანძო მომენტი.
10.35. მემუარები. კ.ვანშენკინი ა.ოსტროვსკის შესახებ.
11.05. სრულიად საიდუმლოდ.
11.55. პ.ი.ჩაიკოვსკი „ფრანჩესკა და რიმინი".
12.25. სავაჭრო სახლი.
12.40. სოფლის საკითხი.
13.00. ვესტი.
13.05. „საქმიანი რუსეთი".
15.00. ვესტი.
15.20. „საქმიანი რუსეთი".
15.45. ე.ოლბი. „თავისუფალი ვაკანსია".
17.05. ტამ-ტამ ნოვოსტი.
17.20. დღესასწაული ყოველდღე.
17.30. სტუდია „როსტი".
18.00. ვესტი.
18.05. ახალი ხაზი.
18.45. „ამ დღეს..."
18.50. „ოქროს შტო".
19.20. [illegible]რტაჟი ადგილებიდან.
19.30. „არავინ არ არის დავიწყებული".
19.35. ტელედებატები.
20.05. „არაპოპულარული" თემა.
20.20. საკუთარი თამაში.
21.00. ვესტი.
21.25. „წვრილმანები.
21.35. ტელეფილმი „სანტა-ბარბარა".
22.30. სიყვარულის ასტროლოგია. ალა პუგაჩოვა.
23.05. XX საუკუნე კადრში და კადრს მიღმა. „პროფესია — რეჟისორი".
24.00. ვესტი.
00.30. ავტოწამი.
00.45. კრიმინალურ შეტყობინებათა ეკრანი.
00.55. ფეხბურთი. ევროპის სუპერთასი. „არსენალი" (ინგლისი) — „მილანი" (იტალია).

დედა ლიანა, მამა რომეო, დები ირინა, მარიკა, სიძე გია ქურდაძე, დეიდები ეთერ მეფარიძე, მერი კაკაურიძე, ბიძები გოგი მაჭავარიანი, ვახტანგ, თამაზ თუთაშვილები, შამიდაშვილები, დეიდაშვილები, ბიძაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**სოსო რომეოს ძე თუთაშვილი**

პანაშვიდი 1 თებერვალს 15 საათზე.
გამოსვენება 2 თებერვალს 14 საათზე.
მისამართი: ფალიაშვილის ქ.№66.

ვყიდი
კერძო, კეთილმოწყობილ, სამოთახიან ბინას მთაწმინდაზე.
ტელ: 93-50-55.
(დარეკეთ დილის ან საღამოს საათებში).

სარედაქციო კოლეგია

ვასილ მაღლაფერიძე (სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე), მამუკა ფაჩუაშვილი (მთავარი რედაქტორი), პაატა ვეშაპიძე (რედაქტორი), გივი ზოლოთაშვილი (უცხოეთი), დავით კახაბერი („თვალსაწიერი"), შადიმან შამანაძე (პუბლიცისტიკა), ვახტანგ სალია (გაზეთის დირექტორი), ზონდო მძინარაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, პეტრიაშვილის №7. ტელეფონი: 29-48-05; ფაქსი: 29-48-05.